

ბრექსიტი და ჩრდილოეთ ირლანდიის საკითხი

არეკნაზ პეტროსიან

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საერთაშორისო ურთიერთობები

ნაშრომის ხელმძღვანელი: მოწვეული ლექტორი კოტე გაბაშვილი

ნაშრომის თანახელმძღვანელი: ასოცირებული - პროფესორი ნინო ფავლენიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

არეკნაზ პეტროსიან

თარიღი 26/06/2019წ.

აბსტრაქტი

ევროპელებისთვის, ისევე, როგორც ყველასთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ევროპის ბედი, უკიდურესად მნიშვნელოვანი გახდა ბრექსიტის პროცესი. მსოფლიოს თანამედროვე გეოპოლიტიკური მდგომარეობა პრობლემური საკითხების მოგვარების საქმეში განისაზღვრება ქვეყნების მთავრობებს შორის თანამშრომლობით. ბოლო ასეთმა პრობლემურმა საკითხმა ევროპაში, ფაქტობრივად, ერთმანეთს დაუპირისპირა ინგლისის, ირლანდიის რესპუბლიკისა, ჩრდილოეთ ირლანდიის და ევროკავშირის ინტერესები. მოცემული ნაშრომი ერთ კონკრეტულ შემთხვევაზეა დაფუძნებული, რამაც განაპირობა ორი სახელმწიფოს ურთიერთობების გაუარესება. ნაშრომში კვლევის ობიექტად აღებულია ინგლის-ჩრდილოეთ ირლანდიის ურთიერთობები, მათი ურთიერთობების ანალიზის დინამიკა ბრექსიტის პროცედურების დაწყების პერიოდიდან დღემდე. თემის საკვლევი კითხვაა: ჩრდილოეთი ირლანდიის საკითხს რა გავლენა გააჩნია გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გამოსვლაზე? ჩემი კვლევის მეთოდოლოგიაში გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდები, აკადემიური ნაშრომები, ლიდერთა ოფიციალური გამოსვლები. კვლევის დიზაინში გამოვიყენე ქეისის შესწავლა. თეორიულ ჩარჩოდ ავირჩიე ევროპის მოქალაქეობის თეორია.

ამ ნაშრომში გაანალიზებულია ჩრდილოეთ ირლანდიის „სამშვიდობო პროცესზე“ ბრექსიტის პოტენციური გავლენა. ამისთვის ოთხი ურთიერთდამოკიდებული საკითხის განხილვაა საჭირო - ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიტიკურ დაყოფა და მოკლე ისტორიული მიმოხილვა; ერთიანი ბაზარი; საერთო ტურისტული ზონა; და „დიდი პარასკევის“ შეთანხმება და მისი სამომავლო განვითარება. ეს ფაქტორები კი ასახავენ ფუნდამენტურ პოლიტიკურ დაყოფას ირლანდიურ ნაციონალისტებსა და იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მომხრე არიან იმისა, რომ ჩრდილოეთი ირლანდია უნდა დარჩეს გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში. ნაშრომში ხაზგასმულია ორი ძირითადი საფრთხე, რომელიც ემუქრება მშვიდობის დამყარებას: პირველი - რომელიც ძირს უთხრის „დიდი პარასკევის“ შეთანხმებას, რაც უკავშირდება ევროკავშირის შემადგენლობასა და მის ინსტიტუციურ ჩარჩოში დარჩენის პირობას; მეორე - უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომლის თანახმადაც ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთს შორის საზღვარი უნდა

შეიქმნას. ბრექსიტს გააჩნია სამშვიდობო პროცესების განადგურების პოტენციალი და მნიშვნელოვანია შესაძლო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, რათა შემცირდეს ბრექსიტის გავლენა ჩრდილოეთ ირლანდიაზე. ასევე, მნიშვნელოვანია შეფასებული იყოს პოლიტიკური დაბრკოლებები ასეთ მოქნილ გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ძირითადი სიტყვები: ბრექსიტი, ბრექსტოპი, ჩრდილოეთი ირლანდია, დიდი პარასკევის შეთანხმება, სამშვიდობო პროცესები, დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირი.

Abstract

For the Europeans, as well as for another important actors of International Relations, Brexit has become one of the key issues on their International agenda. The cooperation among states around problematic issues is very important. It is obvious that Brexit significantly influences the interests of the part of UK - England, Northern Ireland, Republic of Ireland, and European Union. The paper investigates this special case that caused the tensing the relations between Northern Ireland and UK proper. Correspondingly, the main objectives are to analyze the dynamics of these relations since the first Brexit procedures has started. The research question is: what kind of influence has Northern Ireland's case on UK's integrity in the process of Brexit and after it? The analysis uses the qualitative research methodology and its methods: desk-research of the academic papers, content analysis of the EU state leaders' official speeches and statements.

To explain the impact of Brexit on Northern Ireland's future four interconnected conditions has to be considered: the political and historical review around Northern Ireland, single market, common tourism zone, "Good Friday Agreement" and its further development. All these factors represent the division between Irish Nationalists and society supporting Northern Ireland inside the Great Britain. There are two important threats that could turn into obstacles for maintaining peace: the first questions "Good Friday Agreement", relations with EU and keeping common institutional framework; the second underlines the issue of the physical border between Northern Ireland and Great Britain. Brexit has a potential to violate the peaceful processes. It requires wise decisions to subdue the impact of Brexit on Northern Ireland's issue. The political troubles have to be taken into account in decision-making process.

Key words: Brexit, Backstop, Northern Ireland, Good Friday Agreement, Peace Process, UK, EU.